ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

დანიელ გუნდაძე

თანამედროვე ელექტრონული საჯარო მმართველობა, მიღწევები და გამოწვევები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ხათუნა მურადიშვილი

საჯარო მმართველობის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2021

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება თანამედროვეობის აქტუალურ საკითხს: მმართველობის ახალი ფორმის ელექტრონული მმართველობის განვითრებისა და პერსპექტივებუის საკითხებს საქართველოში. სახელმწიფოს მართვა ეპოქალურად იცვლებოდა და ფეხდაფეხ მისდევდა როგორც საზოგადოების განვითარებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობასა და საერთაშორისო ურთიერთობების ცვალებადობას.

თანამედროვე მსოფლიო XXI საუკუნეში მზარდი ტექნოლოგიური გამოწვევების წინაშე დგას. ის რაც სულ რაღაც რამოდენმე ათეული წლების წინ არ იყო შესაძლებელი დღეს ჩვეულებრივი ტიპის ურთიერთობას წარმოადგენს. მაგალითად სოციალური ქსელები, ტელე კომუნიკაციები, ინტერნეტ სივრცე და ა.შ. ყოველივე აღნიშნულმა დააჩქარა სამყაროს განვითარება, შესაძლებელი გახადა ინფორმაციული კომუნიკაციები და სახელმწიფო მართვის თვალსაზრისით გაიზარდა ცნობადობა მეზობელი, თუ არამეზობელი სახელმწიფოების ტენდენციებისა და განვითარების შესახებ.[8]

საქართველო ახალი დემოკრატიის ქვეყანაა და შესაბამისად დღესაც ბევრს ვსწავლობთ და ვპასუხობთ მსოფლიო გამოწვევებს. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი გამოწვევა მართველობის ელექტრონული ფორმა გახლავთ. ნაშრომის მიზანი და აქტუალობა სწორედ ელექტრონული მართველობის მიღწევები და გამოწვევებია.

ნაშრომში განხილულია თანამედროვე საჯარო მართვის პრინციპები და ღირებულებები, საუბარია ადამიანური რესურსების სწორად და პროდუქტიულად გამოყენებაზე, რაც ხაზგასმით აღნიშNულია, რომ ელექტრონული ტიპის მმართველობამ არ უნდა ჩაანაცვლოს ადამიანური რესურსი. პირიქიტ ნებისმიერი ელექტრონული მართვის ეტაპს სჭირდება ადამიანური რესურსი და ეს ფენომენი განყენებულად არ განიხილება.

სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია თანამედროვე იდეების ანალიზი, რომლის გაანალიზების შემდეგ, ნაშრომის აქტუალობიდან გამომდინარე, გამოიკვეთა, თუ რამდენად მნიშნველოვანი და პროდუქტიულია თანამედროვე ელექტრობული მართვა და რამდენად აუცილებელია ამ გამოწვევას ქვეყანა შეხვდეს მზად და შედეგად მიიღოს განვითარების მაღალი კოეფიციენტი, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ზრდასა და სრულყოფს შეუწყობს ხელს.

დანიელ გუნდაძე

Abstract

This piece of work is dedicated to the modern actual issue: ,,A new form of governance and the perspectives in Georgia". The governance of state has changed timely and it has followed as the development of society, moreover economical-social condition of state and variety of international relationships as well.

Modern world steady growing technological challenges in XXI c things which wasn't available decades ago, but nowadays it is usual type of relationship. For instance, social networks , TV-communication, internet etc. All mentioned above expedite the development of the Earth and make possibility of informative communication in the state governance point of view growing consciousness about neighbour or non-neighbour states tendencies and development.

Georgia is a new democratic country and according to this, we still learn and try to respond world challenges. One of the most important challenge is the form of electronic governance and its achievements.

There is considered the values and principles of modern public govern . In fact, there is spoken correct usage of human resources, which is lined-up that electronic type of governance mustn't replace human resources, because any type of electronic governance need humanity resource and this phenomenon shouldn't be ignored.

There is used analyse of modern ideas in paper work and after this analyse, it is has been emphasized the importance and productivity of electronic governance and how imminent is that the state meet this challenge ready and take high ratio development. As a result, that help society growing and become perfect.

Daniel Gundadze

შინაარსი

ანოტაცია ქართულად	
ანოტაცია ინგლისურად	
შესავალი	1
თავი I მართვა და მართვის თავისებურებანი	5
1.1. სახელმწიფო მართვის თანამედროვე მოდელები	6
თავი II ელექტრონული მართვის ძირითადი კონცეფცია	11
2.1. ციფრული ტექნოლოგიების პროგრესი მმართველობაში	12
თავი III ელექტრონული მთავრობის ძირითადი მოდელები და განვითარება	14
3.1. ელექტრონული მმართველობის სისტემა	13
3.2. ელექტრონული მართვა და ელექტრონული გამჭვირვალობა	19
თავი IV ელექტრონული მმართველობის დანერგვა საქართველოში	23
4.1. ელექტრონული მმართველობის დანერგვის მიზანი და ამოცანები საქართველში	23
4.2. საქართველოს საჯარო სამსახურები და ელექტრონული მმართველობა	27
თავი V კვლევა და კვლევის შედეგები	31
დასკვნა	43
დიაგრამები	47
ბიბლიოგრაფია	**48**

შესავალი

სახელმწიფო ყველაზე დიდი ორგანიზაციული გაერთიანებაა სამართლებრივ სივრცეში. ორგანიზაცია თავისი შინაარსით იერარქიულად მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებული სისტემაა, რომლის სწორად მართვა მისი საქმიანობის ეფექტურად წარმართვის საწინდარია. სახელმწიფოსაგან განსხვავებით ორგანიზაციის მართვისა და საქმიანობის მთავარი მიზანი საკუთარი წარმოების გაფართოება და მოგების მიღებაა. სახელმწიფოს მიზნები კი ბევრად ფართო და ყოვლისმომცველი ფენომენია.

მიუხედავად მიზნებისა და ამოცანების განსხვავებულობისა, ორივე ორგანიზაციული ტიპის გაერთანებაა და ორივეს ესაჭიროება სწორი მართვა. სახელმწიფოსა თუ ორგანიზაციის მართვის განხორციელებისას არის საერთო გადამკვეთი მიდგომები, მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება იმის თქმა, რომ სახელმწიფოცა და ორგანიზაციაც შეიძლება ერთნაირი მიდგომებით ვმართოთ.

სახელმწიფოს მართვას, მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მრავალსაუკუნოვანთან ერთად საკმაოდ მრავალფეროვანი, რადგან ის იცვლებოდა დროისა და განვითარების მიხედვით. მსოფლიო მეცნიერული ლიტერატურა მდიდარია ფილოსოფოსთა და განმანათლებელთა მიერ თეორიულად ჩამოყალიბებული, მმართველობის მოდელების შესახებ ინფორმაციით. არსებობს უამრავი შეხედულებები, თუ როგორი უნდა იყოს მმართველი, როგორი მეთოდებით უნდა განხორციელდეს მართვა და ქვეყნის ძლიერებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა როგორი რეჟიმის მეშვეობით არის შესაძლებელი.

თითოეული მეცნიერული შეხედულება მეტად ღირებული და მრავალმნიშვნელოვანია დღესაც, მიუხედავად იმისა ისინი საუკუნეების წინ დაიწერა და ჩამოყალიბდა. მსოფლიო მნიშვნელობის იდეა ყოველთვის თანამედროვეა და იმსახურებს განხილვასა და გაანალიზებას. მაგალითად არასოდეს არ დაკარგავს ხიბლს პლატონის „სახელმწიფო“, მაკიაველის „მთავარი“ პარეტოს „ელიტების წრებრუნვის თაორია“ და ა.შ. შესაძლოა ისინი თანამედროვე მართვის

განხორციელებისას პრაქტულ ნიმუშს ვერ მოგვცემს მაგრამ თეორიული თვალსაზრისით მეტად ნაყოფიერი და საინტერესოა.

აღნიშნული ავტორები თავიანთ ნაშრომებში თავისი ეპოქის შესაბამის მართვაზე საუბრობენ და განიხილავენ მრავალგვარ ჭრილში. კერძოდ რა დადებითი თვისებებით ხასიათდებოდა ეპოქალულად იმ დროის ლიდერი, რა იყო იმ პერიოდის მართვის თავისებურებები და ასევე რა ნაკლოვანებები გააჩნდა ერთსა თუ მეორეს. საბოლოო ჯამში მათ შექმნეს სრული სურათი მართვის შესახებ და დაუტოვეს მნიშვნელოვანი გზავნილი მომავალი თაობას.

საუკუნეების განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა სახელმწიფო მართვის თვალსაზრისით. შეიცვალა სახელმწიფოს მართვის ფორმები, პოლიტიკური რეჟიმები, ლიდერობის ფენომენი და საბოლოო ჯამში მივიდა კაცობრიობა მართვის საჯარო განხორციელებამდე, რასაც უდავოდ დემოკრატიამ შეუწყო ხელი. მიუხედავად ამგვარი ტრანსფორმაციისა მნიშვნელოვანი ღირებულებები რაც აუცილებელია მართვის პროცესში დარჩა უცვლელი. მაგალითად - საქმისადმი ერთგულება, ქვეყანის განვითარებაზე ზრუნვა, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა, საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის სწორად წარმართვა და ა.შ. მთავარი რაც შეუცვალა ეპოქალურად მართვის პრაქტიკულად განხორციელებაში მდგომარეობს. ქვეყანა მმართველს მაშინაც უნდა ყვარებოდა და ახლაც მნიშვნელოვანია გული შეტკიოდეს თავისი ქვეყნის მომავალზე, მაგრამ საუკუნეების წინ მონარქი ამ სიყვარულით ერთპიროვნულად მართვადა, ხოლო დღეს მართვის განხორციელება სპეციალური აპარატის მთავრობისა და პარლამენტის მიერ არის შესაძლებელი.

XX საუკუნე უდაოდ ტექნოლოგიური განვითარების საუკუნეა. განსაკუთრებით საუკუნის მეორე ნახევარში ელვის სისწრაფით ვითარედება საკომუნიკაციო ტექნოლოგია და ადამიანის კოსმოსში გასვლას უშედეგოდ არ ჩაუვლია, სწორედ კოსმოსის ათვისებითა და იქ თანამედროვე ტექნიკის დანერგვით შესაძლებელი გახდა დედამიწის ნებისმიერ წერტილში კომუნიკაცია. შეიქმნა ჯერ სატელეფონო, შემდგომ ფიჭური კავშირგაბმულობები, რომელსაც მოჰყვა ფართო ინტერნეტ შესაძლებლობები და სამყარო, რომელიც მანამ მხოლოდ რამოდენიმე ასეული ადამიანისათვის იყო სრულად ნანახი და შესწავლილი, დღეს მილიონობით

ადამიანი ტელე-ეკრანისა თუ კომპიუტერული მონიტორის საშუალებით თვალს ადევნებს სამყაროს როგორც ფლორისა და ფაუნის, ასევე პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ განვითარებას.

თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი განვითარება საზოგადოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო და განსაკუთრებით საინტერესო მიდგომები დაინერგა მართვის განხორციელების პროცესში. თანამედროვე სახელმწიფოთა მართვა ბოლო რამოდენიმე ათეული წლებია მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთაგან ერთ-ერთი მაშტაბური გამოწვევა ეფექტური მართვის ეფექტურად განხორციელებაა. აღნიშნული საკითხი მრავალმხრივი კვლევის ობიექტი გახდა.

კვლევის ობიექტი შეიქმნა თანამედროვე მართვა, რადგან იგი დაფუძნებულია გამჭვირვალე, სამართლიან და უახლეს ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ პროცესზე, რომელიც საჯარო მართვას ემსახურება. საჯარო მართვა კი უამრავ ასპექტს მოიცავს, რომელიც შესაძლოა ერთ მთავარ ნიშნულზე მივიყვანოთ - საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა მართვის პროცესში.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ სახელმწიფოს მართვის თანამედროვე მოდელი ელექტრონული რესურსების გამოყენების გარეშე წარმოუდგენელია. ამდენად ელექტრონულმა მმართველობამ სწრაფად მოიკიდა ფეხი მთელ მსოფლიოში, მით უმეტეს XXI საუკუნეში, როცა მსოფლიო უდიდესი ტექნოლოგიური ძვრების პირობებში ცხოვრობს.

ინტერნეტის დანერგვამ შესაძლებელი გახადა არნახული სისწრაფით განხორციელებულიყო ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, რამაც საფუძველი ჩაუყარა სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს. ამ გენიალურმა გამოგონებამ შესაძლებელი გახადა მსოფლიოს ყველა კუთხის ურთიერთდაკავშირება, დაინერგა კომუნიკაციის ახალი ელექტრონული მოწყობილობები, გამარტივდა ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება და დასაბამი მისცა სახელმწიფოთა მართვისა და მოწყობის პრინციპების შეცვლას. ამ ცვლილებებისათვის კი საჭირო გახდა ელექტრონული მმართველობის დამკვიდრება, რაც ცალსახად ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების ზრდის შედეგია.

ელექტრონულ მმართველობაში იგულისხმება ერთის მხრივ ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენება სამთავრობო სერვისის მხარდასაჭერად და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის უზრუნველსაყოფად, მეორეს მხრივ კი სამთავრობო სერვისების ინტერნეტით განხორციელება. სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია თავისი მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი იყოს მთავრობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება, ისე რომ მათ არ მოუწიოთ გრძელ რიგებში დგომა და ათასგვარი პროცედურების გავლა საკუთარი სურვილებისა თუ ინტერესის დასაკმაყოფილებლად. სწორედ ეს არის **ელექტრონული მმართველობის მთავარი არსი და მამოძრავებელი ძალა – ზრუნვა მოქალაქეთა კომფორტზე**.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია შესწავლილ და წარმოდგენილ იქნეს თანამედროვე ელექტრონული მართვის დანერგვისა და გამოყენების შესაძლობლებები, ასევე სხვადასხვა სამთავრობო უწყების მაგალითზე განხილულ და პრაქტიკული მაგალითებით ელექტრონული მმართველობის განხორციელების პროცესის პრეზენტაცია, კერძოდ მიღწევები და გამოწვევები.

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა გამოიხატება მის სიახლეში და საქართველში დანერგვის მიმოხილვაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ელექტრონული მმართველობა უახლესი მოვლენაა არა მხოლოდ ქართულ რეალობაში, არამედ მსოფლიო პრაქტიკაში, ამდენად ნაშრომის თემატიკა მეტად აქტუალურია და ექვემდებარება შემდგომი კვლევების განხორციელებას.

ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის განხორციელების პროცესში მიღწეული წარმატებებისა და ასევე ნაკლოვანებების მიმოხილვისა და შედარების საფუძველზე დასკვნების გამოტანა. მეცნიერული სიახლეა თვით ტექნოლოგიური და პროცედურული გზების გაანალიზება, კერძოდ რა მეთოდებითა და ხერხებით გახდა შესაძლებელი ელექტრონული მმართველობის დანერგვა საქართველში.

თავი I

მართვა და მართვის თავისებურებანი

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს წარმატებული მართვა შეუძლებელია ელექტრონული მმართველობის გარეშე. ამ ახალი სისტემის დანერგვის, კერძოდ, ელექტრონული მმართველობის დამკვიდრებას საქართველოშიც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, ის დემოკრატიული განვითარების უფრო მაღალი ნიშნულია, რაც პირდაპირ კავშირშია მმართველობითი სტრუქტურების მიერ გადაწყვეტილების პროცესში მოქალაქეების აქტიურ თანამონაწილეობასთან.

მართვა გაცილებით წარმატებული იქნება თუ მასში ჩართული იქნება მოსახლეობის უმეტესი ნაწილი. ციფრული კომუნიკაცია სწორედ რომ ხელს უწყობს სახელმწიფოს ამ წარმატების მიღწევაში. ცალკეულ მოქალაქეებს კი აძლევს საშუალებას თავისი წვლილი შეიტანოს სახელმწიფოს მიერ დასმული პრობლემის გადაწყვეტაში. თავის მხრივ, მსგავსი პროცესები უფრო დინამიურს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ელექტრონული მმართველობა ყოვლისმომცველი ტერმინია. ის ინტერნეტის ნებისმიერი სახით გამოყენების ფორმას გულისხმობს. მიუხედავად მისი მრავალმნიშვნელიანობისა, შესაძლებელია მისი ორი სახე გამოიყოს: **შინაგანი და გარეგანი**. ელექტრონული მმართველობის შინაგანი სახე თვითმმართველი ორგანოების შიდა ოპერაციებს ასახავს, იქნება ეს ინტერნეტის გამოყენება შესყიდვებისთვის, ელექტრონული ფორმები თუ ქსელზე დაფუძნებული მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემები, ხოლო მისი მეორე სახე, ანუ გარეგანი სახე, მოქალაქეთა და ბიზნესისთვის განკუთვნილ ელექტრონულ სერვისებს ეხება, იქნება ეს საზოგადოებრივი კალენდარი, გადასახადების გადამხდელთა პორტალები თუ დასაქმების სააპლიკაციო ფორმები.

ელექტრონული მმართველობის ძირითადი პრინციპი ინფორმაციისა და კომუნიკაციათა ტექნოლოგიების გამოყენებაა ქვეყნის მართვის პროცესში. ის მოიცავს

არა მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობას, არამედ სახელმწიფო მმართველობასაც და საერთაშორისო ურთიერთობებს.

ის ინსტრუმენტები, რომლებიც ელექტრონული მმართველობის საყრდენია, საუბარია ციფრულ ტექნოლოგიებსა და გლობალურ კომუნიკაციურ სისტემებზე, საშუალებას იძლევა შეიქმნას სახელმწიფო ორგანიზაციის ვებგვერდები, განთავსდეს ინფორმაცია ცალკეული ორგანოების საქმიანობის, ბიუჯეტის მდგომარეობის, კონკურსებისა და ვაკანსიების შესახებ. ეს ინსტრუმენტები ხელმისაწვდომს ხდის მნიშვნელოვან მოვლენებსა და ახალ ამბებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზრდის მოსახლეობის მონაწილეობის შესაძლებლობას ქვეყნის მართვაში.

ამრიგად, მანამ სანამ სახელმწიფო მართვის ელექტრონული მეთოდების შესახებ დავიწყებთ საუბარს უპრიანი იქნება ჯერ სახელმწიფო მართვის, როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული, საკითხების შესახებ ვიმსჯელოთ.

1.1 სახელმწიფო მართვის თანამედროვე მოდელები

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდება მმართველობის ფორმებისა და ტერიტორიული მოწყობის მიხედვით, თუმცა მათ ერთი საერთო მოცემულობა აქვთ - ნებისმიერი მათგანის მთავარი არსია შექმნას წარმატებული სახელმწიფო. ამისათვის კი ერთ-ერთი აუცილებელი პირობა სწორად შერჩეული პოლიტიკური რეჟიმია, ეს უკანასკნელი თავის მხრივ განაპირობებს სახელმწიფო მართვის სწორ და დემოკრატიულ შესაძლებლობებს.

მართვა, ეს არის მართვის სუბიექტისა და ობიექტის მიზანმიმართული ურთიერთქმედების პროცესი სოციალურად ღირებული შედეგების მისაღწევად.

ცნება „მართვა“ მრავლისმთქმელი სიტყვაა. ზოგიერთი ავტორი ამ ცნების განმარტებისთვის იშველიებს ისეთ სიტყვებს, როგორიცაა „ხელმძღვანელობა“,

„განკარგულება“, „მიმართულება“. მეცნიერ ვლადიმერ დალის[1] განმარტებით ლექსიკონში ტერმინი „მართვა“ ნიშნავს **მისცე მიმართულება, განკარგო, უხელმძღვანელო.** ვ. ი. კნორინგი კი მიიჩნევს, რომ მართვა, ფართო გაგებით არის მართვის ობიექტზე (პიროვნებაზე, პროცესზე, კოლექტივზე, ორგანიზაციაზე) სახელმწიფოს გავლენის უწყვეტი პროცესი, დროისა და რესურსების უმცირესი დანახარჯებით ოპტიმალური შედეგების მისაღწევად.[1]

მართვის ძირითადი თვისება - ზემოქმედებაა. სახელმწიფო მართვის პროცესში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად ზუსტად და სრულად აისახება მართვის პროცესში ერთის მხრივ მთელი საზოგადოების, ხოლო მეორეს მხრივ ცალკეული ჯგუფებისა და ინდივიდების ძირეული მოთხოვნები (საჭიროებები და ინტერესები).

ამრიგად, *მართვა - ეს არის ინდივიდების, სოციალური ჯგუფების, სპეციალურად შექმნილი ორგანოების ზემოქმედება სხვადასხვა ობიექტებზე და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, ადამიანებზე და მათ შორის ურთიერთობებზე, იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს ობიექტების განსაზღვრული მდგომარეობა, მიეცეს მოვლენებს სასურველი მიმართულება და მიღებულ იქნეს სასურველი შედეგები.*

მართვის განსაკუთრებული თავისებურებაც სწორედ ესაა, **მიზნების არსებობა,** რომელთა მიღწევისკენაცაა ის მიმართული. საკუთარი მიზნებიდან, სურვილებიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე, ადამიანი ორგანიზებას უკეთებს სხვა ადამიანთა მოქმედებას, პროცესებს, რათა შესრულდეს დასახული მიზანი.

განსაკუთრებით ყურადსაღებია სახელმწიფოს მართვის თავისებურებები. იმდენად რამდენადაც სახელმწიფო მართვა ყველაზე განსხვავებულია თავისი შინაარსით, ყველაზე ფართო და ყოვლისმომცველია და მისი შედეგები გავლენას ახდენს სახელმწიფოს როგორც სუბიექტის როლსა და მნიშვნელობაზე მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე.

ამრიგად, უპირველესად საინტერესო იქნება ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ კითხვებზე

---

[1] **ვლადიმერ დალი** - რუსი მწერალი, ლექსიკოგრაფი, რუსული ენის განმარტებითი ლექსიკონის ოთხტომეულის ავტორი

- რა ნიშნავს სახელმწიფოს მართვა? როდის გახდა მისი არსებობა აუცილებელი?

ვიდრე აღნიშნული კითხვების პასუხებს მოვიძევდეთ მიზანშეწონილია განისაზღვროს ის გარემოება, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობის მატარებელია სახელმწიფო. ის დასაბამიდან მოყოლებული ცალკეული სტრუქტურის სახით გვხვდება. ჩვენს პლანეტაზე პირველი სახელმწიფო, ჯერ კიდევ ბაბილონის სახით არსებობდა, პირველი მეფეც ბაბილონის მმართველი-სარგოსი გახლდათ. თავდაპირველად დედამიწის სხვადასხვა რეგიონში არსებობდა ხალხთა გაერთიანებები ტომების სახით. ადამიანი დღემდე ევოლუციის გზით მოვიდა. პროგრესს განიცდიდა არა მარტო ადამიანი, არამედ საზოგადოებრივი წყობაც, რომელიც მან შექმნა. **პრიმიტიული გაერთიანებიდან - ოჯახიდან, მივიდა გაცილებით რთულ გაერთიანებამდე - სახელმწიფომდე.** ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფი აყალიბებდა კანონებს, რომლითაც ზემოქმედებას ახდენდნენ ცალკეულ ინდივიდებზე.[2]

ცალსახად შეიძლება განვმარტოთ, რომ სახელმწიფოს მართვა ეს არის ხელისუფლების მიზანმიმართული ზემოქმედება საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებზე, ადამიანთა საქმიანობასა და ურთიერთობებზე.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მართვა განსხვავებულია ამა თუ იმ ქვეყნისათვის. მმართველობის ფორმაში მოიაზრება სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების შექმნის წესი და მისი სტრუქტურა. მმართველობის ფორმის მიხედვით ერთმანეთისგან განასხვავებენ მონარქიულ, რესპუბლიკურ, ოლიგარქიულ, დიქტატორულ და თეოკრატიულ მმართველობას.

მონარქიული მმართველობის დროს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ერთ პირს - მონარქს ეკუთვნის, რომელიც თავისი ნების შესაბამისად წარმართავს ხელისუფლებას. მონარქის ეს ნება სახელმწიფოში უზენაესია და არავისგანაა მინიჭებული. თავის მხრივ მონარქიულ მმართველობაში გამოყოფენ შეუზღუდავ (აბსოლუტურ) და შეზღუდულ (კონსტიტუციურ, დუალისტურ, არჩევით) მონარქიას. აბსოლუტური მონარქიისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების თავმოყრა ერთი პირის - მონარქის ხელში, რომელიც თვითონ გამოსცემს და აღასრულებს კანონებს. შეუზღუდავი მონარქიის კონსტიტუციური მმართველობის

დროს მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია არჩევითი ორგანოს მიერ, რომელსაც საკანონმდებლო ფუნქცია აქვს შეთავსებული, რის გამოც მონარქი „იძულებულია“ მის წარმომადგენელთა აზრსა და ინტერესებს ანგარიში გაუწიოს.

დუალისტური ფორმა კი გულისხმობს ძალაუფლების ფორმალურ გადანაწილებას მონარქსა და პარლამენტს შორის მონარქის სასარგებლოდ. რაც შეეხება არჩევით მონარქიას, ეს უკანასკნელი გულისხმობს მმართველობის ისეთ ფორმას, რომლის დროსაც ახალ მონარქს მისი წინამორბედის უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ ირჩევს პარლამენტი, მონარქიული ოჯახის წევრები ან სხვა სპეციალური ორგანო.

სახელმწიფოს მართვის ყველაზე გავრცელებული ფორმა რესპუბლიკური მმართველობაა. რესპუბლიკაში „სახელმწიფო ხელისუფლების წყარო ხალხია“. მონარქიისაგან განსხვავებით, აქ კანონებს ქმნიან და აღასრულებენ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები. რესპუბლიკური მმართველობა თავის მხრივ იყოფა საპარლამენტო, საპრეზიდენტო და შერეული მმართველობის ფორმებად.

ოლიგარქია მმართველობის ისეთი ფორმაა, როდესაც ქვეყნის მართვის სადავეები ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ხელშია თავმოყრილი, ეს ჯგუფები სხვებისგან გამოირჩევა სიმდიდრით, წოდებით, წარმომავლობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. მმართველობის ამ ფორმის შესახებ ჯერ კიდევ არისტოტელეს აქვს ნამსჯელი და ის ამ მმართველობის ფორმას „მცდარ გადახვევად“ აფასებს.[1]

მმართველობის ისეთი შემთხვევაც არსებობს, როცა ხელისუფლების სათავეში არადემოკრატიული გზებით მოსული ავტორიტარი ლიდერი დგას, რომელიც ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას - ეს დიქტატურაა.

მეცნიერთა ნაწილი განასხვავებს სახელმწიფო მართვის კიდევ ერთ ფორმას - თეოკრატიას, ეს წარმოადგენს სამღვდელოების ხელში არსებულ სახელმწიფოსა და მმართველობას ღმერთის სახელით. მმართველობა ხორციელდება რელიგიის პრინციპების მიხედვით.[5]

სახელმწიფოს მართვის ფორმების განხილვით შეგვიძლია დავასკვნათ როგორია სახელმწიფოს ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური დონე,

რამდენადაც არის სახელმწიფოში დაცული კანონის უზენაესობა. მმართველობის ეს სტანდარტული ფორმები სხვადასხვაგვარად ინერგება მართვით სისტემაში სხვადასხვა ქვეყნის მიერ. ვინაიდან ფორმის შერჩევა ხდება ქვეყნის ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით.

სახელმწიფო მართვის სწორად განხორციელება გარდა საგარეო ურთიერთობების სტაბილიზირებისა უმნიშვნელოვანესია ქვეყნის შიგნით, როგორც ადმინისტრაციული მუშაობის თვალსაზრისით და რათქმაუნდა სახელმწიფოს მართვა ეფექტურია მაშინ, როცა სზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური დონე ქვეყანაში სტაბილური და კარგია, როცა საზოგადოების თვითეული წევრისათვის მართვა ურთიერთდამოკიდებული პოროცესია, პროცესი სახელმწიფოდან მოქალაქემდე და მოქალაქიდან სახელმწიფომდე სრულფასოვნად და ჯეროვნად ხორციელდება.

თავი II

ელექტრონული მართვის ძირითადი კონცეფცია

თანამედროვე მსოფლიო, განსახუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, უამრაც ტექნოლოგიურ სიახლეს ეზიარა. განვითარდა თანმიმდევრობით წარმოების თითქმის ყველა სფერო. ძირითადი ტექნოლოგიური ძვრები საკომუნიკაციო სისტემების სრულყოფილებას დაეტყო. აღნიშნულმა ცვლილებებმა რასაკვირველია გავლენა იქონია სახელმწიფოს განვითარებაზე, იქმნებოდა სხვადასხვა ტიპის მანქანები, აგრეგატები, ადამიანმა დაიპყრო კოსმოსი და ასე თანდათან დღეს XXI საუკუნეში უკვე თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ მართვის ტექნიკურ მეთოდებზე, უფრო ახლო კომუნიკაციებზე, რამაც გაზარდა მოსახლეობის ჩართულობა მართვის პროცესში და ასე თანდათან მივედით ახალ გამოწვევაზე, რომელსაც მართვის ელექტრონული განხორციელება ქვია.

ელექტრონული მართვის კონცეფცია არის მმართველობის განსაკუთრებულად სპეციფიკური ფორმა, რომელიც გულისხმობს მოქალაქეებისათვის ისეთი საშუალების მიცემას, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო-პოლიტიკურ პროცესებში მათ თანაბარ ჩართულობას, ვინაიდან მმართველობის მექანიზმი შესაძლებელს ხდის მონაწილეობისათვის საჭირო ყველა ელექტრონული რესურსის შეთავაზებას. [5]

ელექტრონული მმართველობის მამოძრავებელი ძალაა ტექნოლოგიები, რომელთა განვითარებამ შესაძლებლობა მისცა საჯარო სექტორს გაეუმჯობესებინა მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდების ხარისხი, გაეზარდა სამოქალაქო-პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობა.

თუ ერთ დროს ამა თუ იმ პროცესში მონაწილეობისათვის მოქალაქე თმობდა დროს, ხარჯებს, რაც თავის მხრივ პროცესებში ჩართულობისთვის ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, ამჟამად პირიქით, ელექტრონული მმართველობის

კონცეფცია მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობას ქმნის სახლიდან გაუსვლელად მინიმალური ხარჯების გათვალისწინებით.[5].

არსებობს ელექტრონული მმართველობის რამდენიმე დეფინიცია:

- ციფრული მმართველობა;
- ონლაინ მმართველობა;
- ინტერნეტ მმართველობა და სხვ.

ზემოთ ჩამოთვლილი მმართველობის ტიპების პრაქტიკული დანერგვა და განვითარება 4 ძირითადი მიმართულებით ხასიათდება. [5]

- ელექტრონული მმართველობა მოქალაქეებისათვის -G2C(Government-to-Citizen);
- ელექტრონული მმართველობა ბიზნესისთვის -G2B(Government-to-Business);
- ელექტრონული მმართველობა სახელმწიფო ორგანოებისთვის- G2G(Government-to-Government)
- ელექტრონული მმართველობა საჯარო მოხელეებისთვის- G2E(Government-to-Employees);

ყოველივე ამის გათვალისწინებით ელექტრონული მმართველობის განვითარება დაკავშირებულია ხელისუფლების მიერ საზოგადოებისათვის სრულყოფილი ონლაინ სერვისების შეთავაზებასთან.

მსგავსი რესურსებია: საზოგადოებრივი ონლაინ გამოკითხვები, ონლაინ ინტერაქტივი სახელმწიფო სტრუქტურებსა და მომხმარებლებს შორის, ხმის მიცემის ელექტრონული ფორმატი და სხვ. [1]

2.1 ციფრული ტექნოლოგიების პროგრესი მმართველობაში

ელექტრონული მართვა აერთიანებს საზოგადოებრივ საქმიანობასა და ურთიერთობას, ერთის მხრივ საზოგადოების წევრებს შორის და მეორეს მხრივ

საზოგადოებსა და ხელისუფლებას შორის. ყოველივე ეს ქმნის კომუნიკაციურ გარემოს. მისი ფუნდამენტური მიზნებია [2]:

- მართვის სწრაფი, ეფექტიანი და შემოქმედებითი ფუნქციების შესრულება;
- ელექტრონული მთავრობის განვითარება;
- ბიზნესისა და სახელმწიფო მართვის ასპექტების გამარტივება და სრულყოფა;
- მოქალაქეებს, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და შერჩეულ ორგანიზაციებს შორის ურთიერთქმედების ხელშეწყობა;
- ელექტრონული ფედერალიზმის ჩამოყალიბება, ელექტრო დემოკრატიის განვითარება
- გონივრული პოლიტიკის გატარებისთვის უკუკავშირის ორგანიზება;
- საერთაშორისო იმპლიკაცია;
- ინფორმაციის მართვა;

თანამედროვე ელექტრონული მართვის პრაქტიკაში არსებობს ნაციონალური ელექტრონული გარემოს ცნება, რაც გულისხმობს საერთაშორისოდ მიღებული და აღიარებული ელექტრონული მართვის ფორმების ეროვნულ, ნაციონალურ მოდელზე მორგებას. აქედან გამომდინარე ნაციონალური ელექტრონული გარემოს ფორმირებისას ყალიბდება რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპი, რომელიც ხელს უწყობს ელექტრონული მართვის სფეროს ამოცანებისა და პროგრამების განვითარებას. ეს პრინციპებია:

- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩოებში ნაციონალური სტრატეგიისა პოლიტიკის ამოქმედება;
- ტელე-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება ნორმატიულ სამართლებრივი ბაზის შექმნა;
- ინსტიტუციური რეფორმები;
- ადამიანური რესურსების განვითარება, ასევე ელექტრონული მთავრობის განვითარების სტიმულირება;

ელექტრონული მართვის კონცეფციის ჩარჩოებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოები ქმნის ელექტრონული მმართველობის სისტემას, მის ინფრასტრუქტურას, ინფორმაციულ რესურსებს, ონლაინ მომსახურების სისტემასა და მისი

უზრუნველყოფის პირობებს. ამ სახის მმართველობითი სისტემა ითვალისწინებს შემდეგი ტიპის დიალოგურ ფანჯრებს:

- ,,მოქალაქე-სახელმწიფო'';
- ,,ბიზნესი-სახელმწიფო'';
- ,,სახელმწიფო-სახელმწიფოს''

აღნიშნული დიალოგური ფანჯრები წარმოადგენს ურთიერთქმედების ელექტრონულ სქემას და მოქმედებს იმავე კონცეფციით, როგორც მაგალითად ელექტრონული ბიზნესი[2] [3].

ელექტრონული მმართველობა ემყარება 4 ძირითად პროცესს: ***ელექტრონული კონსულტაცია, ელექტრონული კონტროლი, ელექტრონული ურთიერთ მოქმედება და ქსელური საზოგადოების მართვა.*** ის ცვლის ძალაუფლების ბუნებას, უზრუნველყოფს მოქალაქეთა ჩართულობას მართვაში და მოქალაქეების რეალურ მონაწილეობას პოლიტიკურ პროცესებში, არჩევნებში.

ელექტრონული მმართველობა საქართველოში ათეულ წელს ითვლის, კონკრეტულადროგორ განვითარდა საქართველოში ელექტრონული მმართველობა ამ საკითხს მესამე თავში განვიხილავთ ახლა კი მოკლე მონახაზით ავღწერთ თუ რა მიიღწევა საქართველოში ელექრონული მმართველობით:

- სახელმწიფო ინფორმაციის საჯაროობა, ობიექტურობა, სანდოობა;
- საჯარო სახელმწიფო ინფორმაციასთან მოქალაქეების შეუზღუდავი დაშვება, მათთან მუდმივი დიალოგის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი;
- ტექნოლოგიური ინოვაციის მართვა;
- სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა, სახელმწიფო ორგანოების სტრუქტურების შენახვაზე საჭირო ფინანსური და მატერიალური დანახარჯების შემცირება.
- ეფექტიანი ინტეგრირება რეგიონულ საერთო ეროვნულ და მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში;

[2] ელექტრონული ბიზნესი გულისხმობს წამოების, ვაჭრობისა და მომსახურების სფეროში ონლაინ გაყიდვებს, ონლაინ მომსახურებას და ა.შ.

- აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტა;
- სახელმწიფო ორგანოების ურთიერთქმედება და თანამშრომლობა სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოებთან, ასევე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

თავის მხრივ ელექტრონული მართვას გააჩნია სპეციფიკური კომპონენტები, რომლებიც სხვადასხვა სიდიდეებით განიზომება. მაგალითად ელექტრონული სიდიდით ხდება ტექნიკური კომპონენტების განსაზღვრა, თანასწორობის სიდიდით სოციალური კომპონენტების განსაზღვრა, კულტურული კომპონენტები იზომება ეთნიკური სიდიდით, ლოგიკურია პოლიტიკური კომპონენტები განისაზღვროს სამართლებრივი სიდიდით. არსებობს ფსიქოლოგიური კომპონენტებიც, რომლებიც ექსტენციონალური[3] სიდიდით იზომება და ბოლოს გვაქვს მომსახურების კომპონენტები, რომლებიც აუცილებელია განისაზღვროს უფლებებისა და შესაძლებლობების გაფართოების სიდიდით .

ელექტრონული მმართველობის კონცეფცია შედგება ორი ურთიერთდაკავშირებული ნაწილისგან: **შიდა სამთავრობო ინფორმაციული ინფრასტრუქტურა** და **გარე ინფორმაციული ინფრასტრუქტურა**.

ამრიგად, ელექტრონული მართვის ძირითადი კონცეფცია კომპლექსურ მიდგომაში მდგომარეობს. იგი შესაძლებელს ხდის დამყარდეს მჭიდრო საჯარო ურთიერთობა საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. ამ ურთიერთობის დასამყარებლად კი საჭიროა მთელი რიგი ტექნოლოგიური მხარდაჭერა, როგორც უშუალოდ ტექნოლოგიის მხრივ, ასევე სისტემური გამართულობის მხრივ. ელექტრონული მართვის კონცეფცია აზრს მოკლებული იქნებოდა რომელიმე ერთი, ან ორი კომპონენტი რომ იყოს განვითარებული და დანარჩენი ძველი მოდელით მუშაობდეს, მისი ხიბლი სწორედ სისტემურ ხასიათშია.

[3] ექსტენციონალური - ვრცელი, მოცულობითი

თავი III

ელექტრონული მთავრობის ძირითადი მოდელები და განვითარება

„ელექტრონული მმართველობა“ და **„ელექტრონული მთავრობა“** თანამედროვე ცივილიზაციის პროგრესული მონაპოვარია. რასაკვირველია ის დაფუძნებულია მართვის იმ ძირითად კონცეფციაზე რაც საუკუნეების მანძილზე ვითარდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, თუმცა ამ ცნებებმა ჩამოაყალიბეს აბსოლიტურად განსხვავებული მიდგომები საჯარო მართვის განხორციელებისას და თამამად უპასუხეს ტექნოლოგიური და ციფრული განვითარების ეპოქას.

ელექტრონული მთავრობის კონცეფციის მრავალი განსაზღვრება არსებობს. ზოგადად ტერმინი მეოცე სუკუნის ბოლოს, კერძოდ 1990-იან წლებში წარმოიშვა. მისი კონცეფცია წარმოადგენს ტექნოლოგიური და ციფრული განვითარების უახლეს კონცეფციას, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს თანამედროვე მართვის სისტემები. უზრუნველყოფს მის გარდაქმნას, ინტეგრაციას, მოაქვს ახალი აზროვნება სახელმწიფო ვალდებულების შექმნის თვალსაზრისით, ელექტრონული მართვა შესაძლებელს ხდის კერძო და სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების თვალსაზრისით გარემოებათა და სოციალური ცვლილებას, ასევე ლოკალურ ადმინისტრაციულ ცვლილებებს, რაც ჩვეულებრივ სახელმწიფოს ფუნქციებისა და კონსტიტუციური მოთხოვნების შესაბამისია.

ინფორმაციის გავრცელებისთვის, მომსახურების წარდგენისას საიდუმლო სამეცნიერო კვლევითი ოპერაციების ავტომატიზაციის მიზნით ფედერალური მთავრობა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს ჯერ კიდევ 1960-იან წლებში იყენებდა. მთავრობაში ინფორმაციული ტექნოლოგიების ელემენტების აქტიური გამოყენება

გვხვდება 1970-იანი წლების ბოლოდან. აქტიურად გამოყენებადი ხდება ისეთი ელემენტები, როგორებიცაა - საოფისე საქმიანობის ავტომატიზაცია, გადაწყვეტილების მიღება, მომსახურების პროცესი.

ელექტრონული მთავრობის, როგორც იდეის წამოწევა ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტის ალ გორის (Al Gore) მმართველობის პროცესში დაიწყო. მისი ხედვით მოქალაქეებისთვის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში ყველა სახის სახელმწიფო მომსახურება უნდა ყოფილიყო ავტომატიზებული სახის. [3] ელექტრონული მთავრობის კონცეფციის საფუძველი სახელმწიფო ორგანოების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება, მოქალაქეების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მომსახურების მიწოდების ეფექტიანობა და ოპერატიულობის ამაღლებაა. ტერმინ **,,ელექტრონული მთავრობის"** მნიშვნელობა განისაზღვრება, როგორც **,,ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ეფექტიანი მართვის რეალიზაციის ინსტრუმენტის სახით"**.

3.1. ელექტრონული მმართველობის სისტემა

როგორც ცნობილია მართვა ეს არის სისტემური ერთიანობა, რომელშიც მოაზრება ერთის მხრივ სახელისუფლებო ორგანოთა სისტემური ერთიანობა - საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო სისტემები, ასევე საზოგადოებრივი სიტემები, რომლებიც სისტემის თვისებებიდან გამომდინარე გარკვეული დოზით ჩართულნი არიანმართვის პროცესში - პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები, მოქალაქეთა გაერთიანებები და თვით მოქალაქე სუბიექტები.

ამრიგად ნებისმიერ თანამედროვე ურთიერთობას სჭირდება სისტემატიზაცია რათა სწორად მოხდეს მისი კლასიფიცირება სადაც თითოეული სეგმენტი თანაბარმნიშვნელოვნად იქნება დაცული.

შესაბამისად თანამედროვე ელექტრონული მართვის განხორციელებაც სისტემური ხასიათისაა, რაც უზრუნველყოფს მართვის მოქნილობასა და ხელმისაწვდომობას.

ელექტრონული მთავრობის ეპოქაში მთავრობის მიზანია მოქალაქეთა პერსონალური მოთხოვნილებებისა და აბსტრაქტული სურვილების დაკმაყოფილება მოყვანილი იქნეს ერთ სისტემურ ბლოკში და გახდეს კიდევ უფრო მოქნილი. გარდა ამისა, მისი მიზანია მოქალაქეზე ორიენტირებული მართვა, ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით, მოქალაქეთა მომსახურების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია, სახელმწიფო ფინანსების, ადამიანური რესურსების და სერვისის ეფექტიანი მართვა, სახელმწიფო მომსახურების ხელმისაწვდომობა და ხარისხის უზრუნველყოფა, **ბიზნეს-მთავრობის** მოდელის გარიგების ხარჯების შემცირება, მთავრობის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. ყოველი ეს გახლავთ სისტემის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ქმნის ერთ მთლიანობას.

როგორც ნებისმიერ სისტემას ელექტრონულ მთავრობასაც გააჩნია ქმედების მიზანი. უპირველესად ეს მიზანია იმ ტიპის ფასეულობების შექმნა, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იქნება თანამედროვე ეპოქაში და ამასთანავე მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი მექნაიზმის ჩამოყალიბება, რომელიც შესაძლებელს გახდის საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მაქსიმალიზირებას მართვით პროცესში.

აღნიშნული მიზნები კონსტრუირებულია მთავარი ღირებულებების ირგვლივ, რომელიც ფოკუსირებულია ელექტრონული მართვის ეფექტური სისტემის სრულყოფილებაზე. ეს ფასეულობებია:

- საზოგადოებრივი;
- პოლიტიკური;
- სამომხმარებლო;

აღნიშნული ფასეულობების სრულქმნა შესაძლებელია ეფექტიანი საზოგადოებრივი წყობით, **სახელმწიფოს მომსახურების ხარისხის ამაღლებით და შესაბამისად სასურველი შედეგების მიღწევით.** ანუ მთავარი ამოცანა არის არა

მხოლოდ სისტემის ხარისხის ამაღლება და სრულქმნა, არამედ შედეგზე ორიენტირება.

ცალკე განვიხილოთ თითოეული ფასეულობის მნიშვნელობა ელექტრონულ მართვის განხორციელების თვალსაზრისით:

- ***საზოგადოებრივ ფასეულობას*** *წარმოადგენს სამართლიანობა, დემოკრატიზმი, გახსნილობა, გამჭვირვალობა, კონფიდენციალობა, ოპერატიულობა, გარემო პირობები, მოქალაქეების თვითგანვითარება, მოქალაქეებზე ორიენტირება, მომსახურების ხარისხი და სხვა;*
- ***პოლიტიკურ ფასეულობას*** *მიეკუთვნება - სახელმწიფო სექტორის გახსნილობა, გამჭვირვალობა და სახელმწიფო მართვაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობა;*
- *რაც შეეხება* ***სამომხმარებლო ფასეულობას,*** *ის გულისხმობს სახელმწიფო მომსახურების წარდგენას მოქალაქეების დაკმაყოფილებაზე.*

ელექტრონული მთავრობის ფასეულობა ფოკუსირებულია ფინანსურ, სოციალურ, სტრატეგიულ და ოპერატიული მნიშვნელობის პროცესებზე. ამის გათვალისწინებით საზოგადოებრივი ფასეულობის შეფასება ორიენტირებულია მთავრობიდან ბიზნესისკენ.

3.2. ელექტრონული მართვა და ელექტრონული გამჭვირვალობა

ელექტრონული მმართველობა საჯარო მმართველობის განხორციელების მთავარი ქვაკუთხედია. ეს ნიშნავს იმას, რომ ელექტრონული სისტემების აქტიური დანერგვით ჩვენ კიდევ უფრო საჯაროს, ხელმისაწვდომს გავხდით მართვას მთლიანი საზოგადოებისათვის. პირველ რიგში ეს განაპირობებს ინფორმაციულობის მაღალ დონეს,თითოეული მოქალაქე უნდა იყოს ინფორმირებული მართვის დროს მიმდინარე პროცესებით. იმდენად, რამდენადაც დემოკრატიამ დაამკვიდრა

ხელისუფლების არჩევითობა და ადამიანს მიანიჭა ყველაზე დიდი უფლება აერჩია ხელისუფლება. ელექტრონულმა მმართველობამ უნდა უზრუნველყოს მოქალაქის შემდგომი აქტიური ჩართულობის პროცესის განხორციელება და მის მიერ არჩეული ხელისუფლების შემოთავაზებების სრული სარგებლობა.

ამრიგად ეს მეტად ურთიერთდამოკიდებული პროცესია, რაც ბუმერანგის პრინციპით მუშაობს - ვირჩევ სწორად ⟶ მმართავს სრულყოფილად, ამაში კი იგულისხმება ყველა იმ სერვისების ხელმისაწვდომობა რაც მოქალაქეს კიდევ უფრო გაუადვილებს სახელმწიფოში ცხოვრებას და საზოგადოებაში სრულ ინტეგრაციას. საბოლოო ჯამში სწორედ ამგვარად იქმნება სწორი სოციუმი.

ელექტრონული მმართველობის ძირითადი პრინციპი, მოქალაქეზე ფოკუსირებაა. მისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეების მასიური მონაწილეობა სახელმწიფოს მმართველობაში. ამგვარი მმართველობისა და მთავრობის სტრატეგიული სტრუქტურის აგებისას მნიშვნელოვანია იმგვარი მიდგომების დანერგვა, რომლებიც აჩვენებს ელექტრონული მთავრობის მიმართულებასა და მოსალოდნელ შედეგებს.

ელექტრონული მთავრობა იწვევს მართვის პროცესების და მთავრობის მოქალაქეებთან ურთიერთობის ტრანსფორმაციას, მათი უფლებების გაფართოებას. ტრანსფორმაცია შეეხება არა მარტო ურთიერთობას მთავრობისა და მოქალაქისას, არამედ ადმინისტრაციულ და სამოქალაქო ტრადიციებსაც.

ელექტრონული მთავრობის ჩამოყალიბებით მიიღწევა:

- ეფექტიანი საზოგადოებრივი წყობა;
- სახელმწიფოს მომსახურების ხარისხის ამაღლება;
- სასურველი შედეგების მიღება;
- დემოკრატია;
- ეკონომიკური ეფექტიანობა;
- მთავრობის ანგარიშვალდებულება;
- გამჭვირვალობის ამაღლება.[3]

გამჭვირვალობა არის სწორედ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა ელექტრონულ და საჯარო მართვაში. ყველა პროცესი მხოლოდ ელექტრონული

მართვით ხდება გამჭვირვალე. ადამიანი ამგვარი კომუნიკაციით იგებს ყველაფერს პოლიტიკური მოვლენების შესახებ და ასევე იმ სერვისების ხელმისაწვდომობის შესახებ რომელსაც მას სთავაზობ სახელმწიფო.

უმრავლეს ქვეყანაში, დღეისათვის, უკვე იგრძნობა ელეტრონული მთავრობის პრაქტიკული მზადყოფნა. ელექტრონული მთავრობის მოდელის დანერგვას მრავალი სარგებლის მოტანა შეუძლია სახელმწიფოს განვითარებისათვის. მათგან აღსანიშნავია:

- *სახელმწიფოს ხარისხიანი და ფართო მომსახურებით კერძო და სამოქალაქო საზოგადოების უზრუნველყოფა;*
- *ნაკლებხარჯიანი კომუნიკაცია და ინფორმაციასთან შეუზღუდავი დაშვება;*
- *ეკონომიკური ეფექტიანობა;*
- *ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის მაღალი ტემპები;*
- *შემცირებული ციფრული უთანასწორობა;*
- *მართვაში მოქალაქეების აქტიური ჩართულობა;*
- *დემოკრატიული ჰორიზონტის გაფართოება;*
- *დისტანციის აღმოფხვრა შორეულ ან ნაკლებად დასახლებული ადგილებისთვის;*
- *ტექნოლოგიური ინოვაციები და სხვა;*

ყოველივე აქედან გამომდინარე, დავინახეთ, რომ ელექტრონული მმართველობა უფრო ურთიერთობების გარდაქმნაა, ვიდრე ტექნოლოგიებისა, რომელიც საჭიროებს ახალ არქიტექტურულ საწყისებს, მარკეტინგულ სტრატეგიას, მართვის და მომსახურების პროცესების მოდერნიზაციას, ხელმისაწვდომ ტექნოლოგიურ სივრცეს, სამართლებრივი ბაზის განახლებას, ინფორმაციულ უსაფრთხოებას, შეუზღუდავ წვდომას, ტექნოლოგიების უწყვეტი განვითარების სტიმულირებას და სხვა.[4]

აღნიშნული პროგრესი კი როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ემსახურება შედეგს რომელიც მდგომარეობს მართვის სრულყოფილებაში. მართვის სრულყოფილება კი საწინდარია საზოგადოების კიდევ უფრო ეფექტური განვითარებისა და სოციალური

დისბალანსის დარღვევისა. სახელმწიფო სტრუქტურები ელექტრონული მართვის სისტემებით და თანამედროვე მოდელების შექმნით ტერიტორიული ბარიერების ჩახსნას უნდა უზრუნველყოფდეს. ადამიანს რომელიც ქალაქიდან ანდა რაიონული ცენტრიდან მოშორებით ცხოვრობს არ უნდა უქმნიდეს გეოგრაფიული მდებარეობა ბარიერს მის მიერ არჩეული ხელისუფლებისაგან, რომელიც სწორედ მის მიერაა ლეგიტიმირებული, მიიღოს ყველა სახელმწიფო სერვისი იქნება ეს ადგილობრივი თვითმმართველობა თუ ცენტრალური მართველობის რგოლები. აღნიNშული პროცესი კი უნდა იყოს გამჭვირვალე რათა სასურველი შედეგი დადგეს.[4]

საბოლოო ჯამში ყოველივე ეს ემსახურება ერთ მთავარ არსს **ხელისუფლება ხალხისათვის, ორივე ერთად კი სახელმწიფოს განვითარებისათვის.**

თავი IV

ელექტრონული მმართველობის დანერგვა საქართველოში

ელექტრონული მმართველობის დანერგვასთან დაკავშირებით თავის ნაშრომში ავტორები პროფესორები ი.მანველიძე და გ.იაშვილი აღნიშნავენ „საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთნდობის ხარისხის ამაღლებისა და გამჭვირვალე და ღია მმართველობის პრინციპების დამკვიდრებისთვის აუცილებელი წინაპირობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.

მოქალაქეებმა საჯარო დაწესებულების საქმიანობისა და მათ მიერ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით დანერგილი სერვისების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიიღონ. ამ მიზნის მისაღწევად, აუცილებელია თითოეულ საჯარო დაწესებულებას, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ჩამოყალიბებული ჰქონდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარების სტრატეგია, რომლის გათვალისწინებითაც კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება მოხდება და განისაზღვრება ერთი ან რამდენიმე წლის მანძილზე განსახორციელებელი ღონისძიებების ნუსხა.“[6]

4.1. ელექტრონული მმართველობის დანერგვის მიზანი და ამოცანები საქართველში

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ ვრცლად მიმოვიხილეთ,თუ რას წარმოადგენს ელექტრონული მთავრობა და რა არის ელექტრონული მმართველობა.

აქვე ძალიან მკაფიოდ აღვნიშნეთ, რომ დღეს ჩვენ ვცხოვრობთ 21-ე საუკუნეში, რომელიც პირდაპირი გაგებით არის ციფრული ტექნოლოგიების და ზოგადად ინტერნეტსივრცის საუკუნე, რაც ნიშნავს იმას, რომ კომუნიკაცია გაიშალა, შედგა აქტიური ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობები გადავიდა აბსოლიტურად სხვა ფაზაში. ვიდრე ეს იყო ორი ან სამი ათეული წლის წინ და დღის წესრიგში დადგა, არა მხოლოდ ინტერნეტ სივრცის არსებობა, არამედ ელექტრონული მოდელების შექმნა, რომელთა შესახებ ჩვენ წინამდებარე თავებშიც მოგახსენეთ.

რაც შეეხება საქართველოს ის არის ეგრეთწოდებული ,,ახალი სახელმწიფო'' თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების თვალსაზრისით. მართალია , ის მრავალსაუკვნოვან ისტორიას ფლობს, მაგრამ ციფრული ტექნოლოგია მისთვის სიახლეა; მიუხედავად ამისა ყოველ ახალ გამოწვევას საქართველო თამამად ხვდება და მთელი რიგი დატვირთვით პასუხობს. მათ შორის ერთერთი გახლავთ ზუსტად ელექტრონული მმართველობის დანერგვა საქართველოში, რომელიც საქართველოსთვის სახელმწიფოსთვის უახლეს გამოწვევას წარმოადგენს.

მთავარი კითხვა იბადება სწორედ აქ, თუ რას ემსახურება ყოველივე ეს, რა შედეგზე გავალთ? ნებისმიერი პროცესი რომელიც ქვეყანაში სრულდება, აუცილებლად გათვლილია კონკრეტული შედეგი. თუ შედეგი არ არის გათვლილი ქმედება აზრს მოკლებულია. პოლიტიკური იქნება ეს ქმედება , ეკონომიკური, თუ სოციალური, არ აქვს მნიშვნელობა.

ელექტრონული მმართველობაც ეფუძნება გარკვეულ მიზნებსა და ამოცანებს, რომელზეც აუცილებლად გათვლილია შედეგი. ეს შედეგი კი არის სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი სტანდარტების შექმნა. დღესდღეობით, ამ სტანდარტის მიღწევა ელექტრონიზაციის გარეშე წარმოუდგენელია. ამის მკაფიო მაგალითი დღესაც გვაქვს. 2020 წელს მოვლენილმა მსოფლიო ვირუსულმა ინფექციამ ხალხი

,,აიძულა'' სახლიდან გაუსვლელად ეწარმოებინა, არ ამარტო თავისი საქმიანობა, არამედ ზოგადად სამოქალაქო ვალდებულებების შესრულებაც. სწორედ ამ დროს აქტუალური იქცა ის საკითხი, რომელიც უშუალოდ ეხება ელექტრონული მმართველობის დანერგვის აუცილებლობას.

რომ არა ელექტრონული მმართველობის დანერგვის მცდელობა, ქვეყანა, ამ ეტაპისთვის, ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას ვერ უპასუხებდა, გარდა ამისა ქვეყანა უდიდესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა, იმ პრობლემებთან ერთად, რომელიც ზოგადად მსოფლიო ვირუსულმა დაავადებამ შექმნა. მაგალითად საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ელექტრონულად სახლიდან გაუსვლელად აწარმოებდა მთელ რიგ საქმიანობას არეგისტრირებდა და ამზადებდა ქორწინების მოწმობებს, დაბადების მოწმობებს, გარდაცვალების მოწმობებს , ყიდვა გაყიდვა, გაქირავებასა, დაგირავებასა და სხვა. რომ არა შესაბამისი ელექტრონული სერვისები, არსებულზე კიდევ უფრო უარეს შედეგს მივიღებდით. ამიტომ კოვიდ19-მა, როგორც მსოფლიო პანდემიამ, რომელსაც დღესაც ებრძვის მსოფლიოს სახელმწიფოები, თვალნათლივ გვაჩვენა, რომ ელექტრონული მმართველობა საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

თავდაპირველად, როდესაც ელექტრონული მმართველობის დანერგვა დაიწყო საქართველოში, ეს სულ რაღაც ორი ათეული წლის წინ იყო, როდესაც ელექტრონული სერვისები შეიქმნა. ამის შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ მეორე ქვეთავში. ,, საჯარო სამსახურები და ელექტრონული მმართველობა''. აქ ვნახეთ თუ როგორ მუშაობდა საჯარო სამსახურები ელექტრონულად, საგადასახადო სისტემა, საჯარო რეესტრი, სამედიცინო სფეროც კი.

როდესაც ამ სერვისების დანერგვა დაიწყო კაცობრიობამ სულ არ იცოდა პანდემიის შესახებ არაფერი, უბრალოდ ეს იყო თანამედროვე გამოწვევა და საქართველომ, როგორც ცივილიზებულმა სახელმწიფომ, თამამად დაიწყო პასუხის გაცემა ამ გამოწვევების მიმართ; სულ რამდენიმე წელიწადში კი, რეალურად აღმოჩნდა მისი საჭიროება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ელექტრონული მმართველობა.

მეორეს მხრივ ნებისმიერი ინფორმაცია თუ წერილი საჯარო უწყებებს შორის, როდესაც ელექტრონულად ხდება კომუნიკაცია, მოკლე დროში მიდის ადრესატამდე, შესაბამისია პასუხის მიღებაც, დროულად და სწრაფად. აქედან გამომდინარე, მოქალაქის ინტერესის დაკმაყოფილება ბევრად მარტივი და მოსახერხებელია. საჯარო სამსახურის არსიც სწორედ ესაა - მოსახლეობის ჩართულობა მართვით პროცესებში, საზოგადოების მაქსიმალური უზრუნველყოფა ყველა იმ სახელმწიფო სერვისით რაც ქვეყანაში არსებობს. ელექტრონულმა მმართველობამ კი შესაძლებელი გახადა ამ სერვისების დახვეწა. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოში ყველაფერი გაკეთებული და მოწესრიგებულია, მთავარ მიზნებსა და ამოცანებზე, რომლებიც ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროცესში ჩაიდო, ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად ნაპასუხები. მართალია, საქართველო ტერიტორიულად პატარა ქვეყანაა, მაგრამ ის რთული ლანდშაფტის მქონეა, მთაგორიანია, რის გამოც მთელ რიგ ტერიტორიებზე ჯერ კიდევ არ არის მიწოდებული ინტერნეტსერვისები, ამიტომ ელექტრონული მმართველობის განხორციელება, როგორც ეს ქალაქშია შესაძლებელი, იქ მიღწეულ არ არის. ელექტრონული მმართველობა სრულყოფილი მაშინ იქნება, ტუ მასში ჩართული იქნება მოსახლეობა საქართველოს ნებისმიერი მხრიდან, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთი მიზანი ის არის, რომ ადამიანს ყველა ნიუანსის გასარკვევად არ უწევდეს მისვლა რაიონულ ცენტრში, შევძლოთ და დავზოგოთ მოქალაქის ენერგია, მანძილი და რაც მთავარია, დრო. დრო, რომელსაც ადამიანი ელექტრონული რესურსების გამოყენებით დაზოგავს, შეიძლება მოხმარდეს სამეურნეო საქმიანობას, ბიზნესის დაგეგმარებას და ასე შემდეგ.

როდესაც რაიმე ახალი ინერგება სახელმწიფოში, იქვე იწყება მსჯელობა თუ რა მიზანს უნდა ემსახურებოდეს ის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რომლის შედეგებსაც შემდეგ თავში მოგახსენებთ. სანამ უშუალოდ კვლევაზე გადავიდოდეთ, გეტყვით, რომ კვლევის ობიექტები დიფერენცირებულია ასაკობრივი ზღვარის და ტერიტორიის მიხედვით. ამით გვინდოდა დაგვენახა იყო თუ არა პრობლემა რაიონებსა თუ რეგიონებში, მხოლოდ ცენტრალური ნაწილი ხომ არ არის უზრუნველყოფილი ელექტრონული

მმართველობის სარგებლობით, უგულებელყოფილი ხომ არ დარჩა საქართველოს სხვა ნაწილში მცხოვრებლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ ჯერ ინერგება მიზანი, შემდეგ ისმება საკითხი, თუ რომელი ჯგუფები ისარგებლებენ ამ სერვისებით. მაგ.: ჯანდაცვით სერვისით ისარგებლებენ ადამიანები, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ, საგადასახადო სერვისებით ისარგებლებენ ისინი, ვისაც ბიზნესის წარმოება აქვთ - ეს ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ სერვისს თავისი განსაზღვრული კონტიგენტი ჰყავს.

მიზნის განსაზღვრის შემდეგ, დაისმება საკითხი, თუ რა არის ელექტრონული მმართველობის ამოცანები, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს ელექტრონული სერვისებისა და ინტერნეტის მიწოდების გაუმჯობესებას, მიეცეს საშულება ინტერნეტპროვაიდერებს, რომ სწრაფი სიხშირით მიაწოდონ ინტერნეტი მომხმარებლებს, შეიქმნას ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი ინტერნეტის სწრაფად მიწოდებას. ამის ნათელი მაგალითია ის გარემოება, რომ პანდემიის გავრცელების საწყისს ეტაპზე ინტერნეტპროვაიდერები მაქსიმალურად ცდილობდნენ მოსახლეობისთვის ინტერნეტის ხელმისაწვდომობას, რათა მოქალაქეებს სახლიდან გაუსვლელად მიეღოთ სხვადასხვა საჭირო მომსახურება, მათ შორის განათლებაც.

4.2. საქართველოს საჯარო სამსახურები და ელექტრონული მმართველობა

ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით საქართველოში პროგრესი შეინიშნება. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პრაქტიკაში ინერგება და იგეგმება მნიშვნელოვანი ელექტრონული პროექტები. აღნიშნული პროგრესი საქართველოში განსაკუთრებით შეინიშნება 2010 წლიდან. თვალშისაცემია

აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების განვითარება ელექტრონული განვითარების კუთხით - ეს დაწესებულებებია ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები. მაგალითად ფინანსთა სამინისტროს ვებ გვერდზე (www.mof.gov.ge) შევხვდებით ბევრ ელექტრონულ სერვისს, იქნება ეს ავტომობილის განბაჟების ღირებულების გამოთვლა, დეკლარაციის ონლაინ შევსება, საჯარო სამსახურის დეკლარაციის შევსება, ონლაინ აუქციონი. ამასთან აღსანიშნავია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ვებ პორტალი (www.rs.ge), რაც გადასახადის გადამხდელს საქმიანობას მნიშვნელოვნად უადვილებს.

ელექტრონული მომსახურება ეფექტურად დაინერგა და ეფექტურადვე გამოიყენება იუსტიციის სამინისტროს სისტემაშიც, მაგალითად უკვე შესაძლებელი გახდა ერთ ერთი აპლიკაციის საშუალებით მომხმარებლის პირდაპირ ჩართვა სტრუქტურულ სამსახურთან და მისი საბუთების მოგვარება. კერძოდ, „სკაიპის“ გამოყენებით ონლაინ რეჟიმში ნებისმიერი თანხმობის განცხადების, მინდობილობის და რწმუნებულის ნოტარიალური დამოწმებაა შესაძლებელი. შესაძლებელია ვებ გვერდების გამოყენებით კონსულტაციის მიღებაც.

ასევე ეფექტურად ფუნქციონირებს აღსრულების ეროვნული ბიუროს (www.nbe.gov.ge) მოვალეთა და სააღსრულებლო საქმისწარმოების ელექტრონული რეესტრები და სხვა [8].

ციფრული პროგრესი განსაკუთრებით შეიმჩნევა ისეთ მნიშვნელოვან პროექტებში, როგორიცაა იუსტიციის სახლი. თამამად შეიძლება ითქვას ეს საქართველოს 2011 წლის ყველაზე წარმატებული რეფორმაა. იუსტიციის სახლის 400-ზე მეტი სერვისია ხელმისაწვდომი საქართველოს 22 ქალაქში, თუმცა მომსახურების გაუმჯობესებაზე ის ყოველწლიურად ზრუნავს, რაც გამოიხატება ყოველ მომდევნო წელს ახალი ფილიალის გახსნით სხვადასხვა ქალაქში.

იუსტიციის სახლი დღეში საშუალოდ 20 000-მდე მომხმარებელს მასპინძლობს, მიუხედავად მომხმარებელთა სიმრავლისა, აქ ლოდინის საშუალო მაჩვენებელი 7 წთ-ია, ასევეა მომსახურების საშუალო დროც განსაზღვრული 7 წთ-ით.

იუსტიციის სახლის ყველაზე მოთხოვნადი ელექტრონული სერვისების ხუთეულია:

1. პირადობის ელექტრონული მოწმობა;
2. პასპორტი;
3. სახელმწიფო პროექტების ფარგლებში უფლების რეგისტრაცია;
4. დაბადების რეგისტრაცია;
5. არასრულწლოვნის რეგისტრაციის ბარათი.

იუსტიციის სახლის ეფექტური მუშაობის საიდუმლო შემდეგშია - ეს არის ერთი სახლი, ერთი შენობა, სადაც თავმოყრილია სახელმწიფო სერვისების უმრავლესობა, როგორც იდეის ავტორები ამბობენ, ეს არის სახელმწიფო სერვისების მიწოდების ახალი სისტემა, რაც გულისხმობს სწრაფ და ხარისხიან სერვისებს მოქალაქეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. მყუდრო, სასიამოვნო და კომფორტული გარემო, მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური და კეთილგანწყობილი პერსონალი უზრუნველყოფს მომხმარებელთა თავაზიან, სწრაფ და ხარისხიან მომსახურებას. ეს არის სივრცე, სადაც ყოველთვის ზრუნავენ განვითარებაზე. აქ ყოველწლიურად ტარდება მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა.

ინტერნეტ-ტექნოლოგიების მოხმარება სახელმწიფოს სხვა ორგანოებშიც გაზარდეს. მაგალითად, ფინანსთა სამინისტრომ, შემოსავლების სამსახურმა და სხვამ. უკვე მომხმარებელს ობიექტზე მისვლის გარეშე შეუძლია ონლაინ გააკეთოს განაცხადი სასურველ საკითხთან დაკავშირებით. ზოგიერთი სახელმწიფო სერვისი მობილურ აპლიკაციას დაუკავშირდა, რაც ცხადყოფს, რომ კიდევ უფრო გამარტივდა ურთიერთობა მომხმარებელსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის ციფრული ტექნოლოგიების გათვალისწინებით. მაგალითად, საქართველოს პოლიციამ შექმნა აპლიკაცია, სადაც მომხმარებელს შეუძლია შეამოწმოს ესა თუ ის ინფორმაცია ან გადაიხადოს ჯარიმა.

ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსი მოიცავს ხელმისაწვდომობის ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა ინფრასტრუქტურა და განათლება. ორივე მათგანი ასახავს თუ როგორ იყენებს ქვეყანა საინფორმაციო ტექნოლოგიებს. **ელექტრონული მმართველობის საზომიც სწორედ ესაა - შეფასება**,

რომელიც განიშნებს რამდენად ეფექტურად იყენებს სახელმწიფო ინტერნეტს და მსოფლიო ქსელს ინფორმაციისა და სერვისების მიწოდებისთვის.

მთავრობამ, თავის მხრივ, მხარი უნდა დაუჭიროს და სტიმული უნდა მისცეს ინოვაციების შემოტანა-დანერგვას საზოგადოებაში და ამით ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას. თვითონვე უნდა უზრუნველყოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და საინფორმაციო გარემოს შესაბამისი პირობების შექმნა. თავის მხრივ, ტექნიკურ ტექნოლოგიური პირობა ითვალისწინებს საზოგადოების ყველა სეგმენტის - კერძო სამსახურების, საჯარო სექტორების, საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებების კომპიუტერებით ხელმისაწვდომობას, ინტერნეტის გლობალურ ქსელში გაერთიანებას, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნას, რაც საერთო ჯამში ინსტიტუციური საჯარო მომსახურების, კომპეტენციების და ურთიერთქმედების ლოგიკურ სისტემას გულისხმობს.

ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთ დაინტერესებულ მხარეს ბიზნეს სექტორი წარმოადგენს. სახელმწიფო ახორციელებს საქონლის და მომსახურების შესყიდვას, რომლის ძირითადი მიმწოდებელი სწორედ ბიზნეს სექტორია. სახელმწიფო აღრიცხავს ბიზნესის უძრავ ქონებას, ბიზნესში ფიზიკური და იურიდიული პირების მონაწილეობას და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ელექტრონულ მმართველობაში დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს მიერ ბიზნესისთვის შეთავაზებულ ელექტრონულ სერვისებს.(G2B-GOVERNMENT TO BUSINESS) (SOREIDE.2002). ამდენად ელექტრონული სისტემის არსებობა სახელმწიფოსა და ბიზნესის თანამშრომლობის საწინდარია.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვები 2010 წლამდე ხორციელდებოდა ქაღალდური წესით, რაც დაკავშირებული იყო შრომატევად საქმიანობასთან. გარდა ამისა პრობლემას წარმოადგენდა ტენდერებში მონაწილეობაც, იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი მონაწილეობის მისაღებად ტერიორიულად შორს მდებარე ქალაქებში და რაიონულ ცენტრებში ვიზიტს გულისხმობდა. ამრიგად, 2010 წლიდან საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემას და 2010 წლის ოქტომბერში პირველი ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა. 2010 წლის

დეკემბრიდან გაუქმდა ქაღალდური წესით ტენდერის განხორციელება და უკვე ყველა სახელმწიფო ტენდერი მხოლოდ ელექტრონულად ტარდებოდა, რაც უზრუნველყოფს, რომ მასში მონაწილეობის მიღება შეძლოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა, რაც თავის მხრივ შეზღუდავს სახელმწიფო ფინანსების არარაციონალურ ხარჯვას, გაზრდის პრეტენდენტებს შორის ჯანსაღ კონკურენციას და აამაღლებს სახელმწიფო შესყიდვების მიმართ საზოგადოებრივ ცნობიერებას. ყოველივე ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ ელექტრონული სისტემის შემოღებამ უზრუნველყო მომსახურების მაქსიმალური გამჭვირვალობა.

თავიV

კვლევა და კვლევის შედეგები

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობაზე ჩვენ შესავალ ნაწილში გვქონდა საუბარი და მართალც ნაშრომის გაანალიზების დროს გამოიკვეთამისი აქტუალობა და ის პრობლემები რაც შესაძლოა ელექტრონულ მმართველობას ჰქონდეს. ელექტრონული მმართველობის დანერგვა-განვითარების, პერსპექტივებისა და გამოწვევების უკეთ ანალიზისთვის ჩავატარეთ კვლევა.

კვლვა ჩატარდა ელექტრონული პორტალის google drive-ს მეშვეობით, აღნიშნული გამოკითხვისმეთოდი ბევრად უფრო ეფექტურია როგორც დროის თვალსაზრისით, ასევე მონაცემთა საწირო ჯგუფებად დაყოფისათვის. რესპოდენტთა ვინაობა არ საჭიროებდა გამხელას, რამაც მოგვცა შესაძლებლობამაქსიმალურად ობიექტური და სწორი, დაუფარავი პასუხები მიგვეღო. შედეგმა უდავოდ გაამართლა და აღნშნული კვლევა დაგვეხმარა საბოლოო დასკვნების გამოტანაში, რადგან დასკვნა არ ექვემდებარებოდა მხოლოდ თეორიულ მონაცემებს და მასში შევიდა ასევე საზოგადოების სუბიექტური აზრიც. საკვლევი თემატიკა დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში, ამდენად

საზოგადოების აზრი ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის არანაკლებ საინტერესო აღმოჩნდა.

გამოკითხვა განხორციელდა 2021 წლის ივნისის თვეში. კვევა განხორციელდა ელექტრონულად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 102-მა რესპოდენტმა, რომლებიც შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა. რესპოდენტების ასაკობრივი ზღვარი მოიცავდა 20 – 60 წლიდან ზემოთ.

პირველი კითხვა იყო გამოკითხულთა ასაკის გაგება, რათა შემდგომ გაგვეკეთებინა ანალიზი რა სპექტრს მოიცავს ელექტრონული რესურსების მომსახურების ასაკობრივი არეალი. 102 გამოკითხული რესპოდენტიდან ყველაზე მეტი აღმოჩნდა ახალგაზრდები კონკრეტული ასაკი 20 – 40 წ. მათი პროცენტული მაჩვენებელი 77.5%-ია. საშუალო ასაკი (40-60 წ) განისაზღვრა 15.7%-ით,ხოლო ხანდაზმული ასაკი წარმოდგენილია 6.9%-ით.

დიაგრამა N1 რესპოდენტთა ასაკი



მეორე კითხვის მიზანი გახლდათ გამოკითხულთა სეგმენტაციის გარკვევა, რათა უფრო გარკვევით გამოკვეთილიყო ქვეყნის რომელ ნაწილში უფრო ინტენსიურად არის შესაზლებელი ინტერნეტ სერვისებით სარგებლობა. ასევე კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო რესპოდენტის საცხოვრებელი ადგილი, რათა განგვესაზღვრა ინტერენეტსერვისების ხელმისაწვდომობა დემოგრაფიული თვალსაზრისით. გამოკითხულთა 51% -ია. 30.4%-ს წარმოადგენს სოფელში მცხოვრებლები, ხოლო 18.6% გამოიკვეთა რაიონის მკვიდრნი.

დიაგრამა N2 - გეოგრაფიული სეგმენტაცია



მესამე შეკითხვით გავარკვიეთ რა ნაწილი იყო დასაქმებული, რათა შედეგად გაგავერკვია რამდენად ინტენსიურად სჭირდება ადამიანს ელექტრონული მმართველობს მიერ შეთავაზებული სერვისების გამოყენება. სტატისტიკის მიხედვით გამოკითხულთა 61.8% დასაქმებულია, 38.2% კი არა. აღნიშნული საკითხის დასმა ნმიშვნელოვანია იმდენად,რამდენადაც, გარკვევა იმისა, თუ რა სიხშირით მოიხმარდნენ რესპოდენტები ელექტრონულსერვისებს დასაქმების კუთხით.

დიაგრამა N3 - დასაქმება



მეოთხე შეკითხვა ემსახურებოდა გამოკითხულთა მიერ ინტერნეტ რესურსების, ზოგადად ინტერნეტ სერვისებით, მაგალითად ელექტრონული

გამოწერები, სოციალური ქსელები და ა.შ. კვლევამ აჩვენა , რომ გამოკითხულთა ურო მეტი ნაწილი ხშირად იყენებდა ინტერნეტს ვიდრე იშვიათად. კონკრეტულად, ინტერნეტ სერვისების ხშირად მოხმარების პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 86.3%. ხოლო 13,7% იშვიათად მოიხმარს მას. აღნიშნული კითხვის პასუხებმა ცხადყო რომ გამოკითხულთა უმეტესმა ნაწილმა კარგად იცის თანამედროვე ტექნოლოგია და თავისუფლად შეუძლია სახელმწიფოს მიერშეთავაზებული სერვისებით სარგებლობა, მთავარია ჰქონდეს ხელმისაწვდომობა.

დიაგრამა N4 – ინტერნეტ რესურსების გამოყენების სიხშირე



მომდევნო მეხუთე კითხვით რესპოდენტებს მივეცით საშულება პირდაპირ ეპასუხათ კითხვაზე, თუ რამდენად ხშირად სარგებლობენ ისინი საჯარო სამსახურების ვებ.გვერდით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმის შესახებ,

გამოკითხული რესპოდენტებიდან, რა ნაწილი სარგებლობდა ზოგადად ინტერნეტსერვისებით და რა ნაწილი კონკრეტულად საჯარო სამსახურის ვებ გვერდებით. კვლევამ ცხადყო, რომ გამოკითხულთა მეტი წილი არათუ საჯარო სამსახურის ვებ გვერდებით არამედ ზოგადად ინტერნეტ სერვისებით სარგებლობდა.ეს ნიშნული ასე გადანაწილდა:

. ხშირად - 24.5%.

. იშვიათად - 67.6%.

. არასოდეს - 7.8%.

დიაგრამა N5 - სარგებლობთ თუ არა საჯარო სამსახურების ვებ.გვერდით



მეექვსე შეკითხვით დავაკონკრეტეთ წინა შეკითხვა დაგავიგეთ გამოკითხულთა რა ნაწილი კონკრეტულად რომელი საჯარო სამსახურის ვებ.გვერდით

სარგებლობდა. კონკრეტულ საკითხთან მიმართებით, თუ რომელი საჯარო სამსახურის ვებ გვერდით უსარგებლიათ ერთხელ მაინც, შედეგები ასე გადანაწილდა:

ჯანდაცვის სამინისტრო - 36.3%

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო - 32.4%

შემოსავლების სამსახური - 31.4%

დიაგრამა N6 - რომელი საჯარო სამსახურის ვებ.გვერდით გისარგებლიათ ერთხელ მაინც



ამრიგად, გამოკითხულთა შორის პასუხების დაახლოებით თანაბრად გადანაწილება ნიშნავს იმას რომ სამივე სტრუქტურის ელექტრონული პორტალები ხელმისაწვდომი და გასაგებია მოსახლეობისათვის. მეშვიდე კითხვით შევეცადეთ გაგვერკვია რამდენად ხშირად სარგებლობს ადამიანი ადგილობრივი თვითმმართველობის ელექტრონული რესურსებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონის განვითარების საქმეში. საინტერესო იყო კვლევის ის ნაწილიც, რომელმაც აჩვენა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ელექტრონული რესურსებით გამოკითხულთა ნახევარი იშვიათად სარგებლობს. უფრო მცირე ნაწილი - თითქმის არასდროს, ხოლო 15% ხშირად. აღნიშნული გარემოება ბევრ პრობლემაზე მიუთითებს, მაგალითად საერთოდ სუსტი ელექტრონული მმართველობის განხორციელება ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებში, ან მოსახლეობის არაინფორმირებულობა.'

დიაგრამა N7 - ელექტრონული რესურსებით სარგებლობა ადგილობრივ თვითმმართველობებში



მერვე შეკითხვით მარტივად დაკონკრეტების გარეშე ვკითხეთ რესპოდენტებს საერთოდ უსარგებლიათ თუ არა საჯარო სამსახურების ელექტრონული მმართველობით, რადგან ზემოთ მოცემულ კითხვაში გვქონდა აქცენტი სამ საჯარო სტრუქტურაზე და ამ შეკითხვით შესაძლობა მივეცით გამოკითხულთა იმ ნაწილს დაეფიქსირებინა პასუხი, რომელსაც ზემოთ მითითებული სამი საჯარო სტრუქტურის გარდა სხვა საჯარო სისტემის ელექტრონული მომსახურებით უსარგებლია. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რესპოდენტების 79.4% სარგებლობს საჯარო სამსახურის ვებ გვერდით, ხოლო 20.6% კი - არა.

დიაგრამა N8 - გისარგებლიათ თუ არა რომელიმე საჯარო სტრუქტურის ელექტრონული მომსახურებით



გამოკითხვამ აჩვენა რომ დიდი ნაწილი სარგებლობს ელექტრონული მომსახურებით, რაც თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყნის მიღწევაში. მეცხრე კითხვით გვინდოდა გაგვეგო კმაყოფილების ხარისხი, ანუ თუ სარგებლობენ თანამედროვე მიღწევებით რამდენად კმაყოფილნი არიან. ელექტრონული მმართველობა, რომ ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია ამას ნათლად ადასტურებს მომხმარებელთა კმაყოფილების ზღვრული მაჩვენებელი, რომელიც ჩვენი კვლევის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

. ძალიან კარგია - 25.5%

. კარგია - 28.4 %

. არაუშავს- 40.2%

. ცუდია - 5%

რასაკვირველია გამოკითხულთა კმაყოფილების ხარისხი მნიშვნელოვანია, მაგრიამ გასათვალისწინებელია ინდივიდუალური შემთხვევევბი, მაგალითად როცა მოქალაქეს ელექტრონული ქსელის მიღმა თანამშრომელმა ვერ გასცა სათანადო პასუხი მის შეკითხვაზე, რაც არ ნიშნავს იმას, რომ სისტემა გაუმართავია.

დიაგრამა N9 - კმაყოფილება



ძირითადად კვლევისთვის გამოყენებულია ინტერვიუს მეთოდი, კითხვარის სახით. მომხმარებელთა მხრიდან კითხვარის შევსების შემდეგ შეფასდა მონაცემთა სიზუსტე და მათი ღირებულება. შეფასების შემდგომ განხორციელდა მათი შედარება, კომპონენტებად დაშლა და დასკვნების გამოტანა

სამაგისტრო კვლევისათვის ყველაზე მნიშვნელვანია კითხვარის ბოლო, მე-10 შეკითხვა, რომელიც გულისხმობს რესპოდენტის მიერ ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის თვალსაზრისით პროცესების გაუმჯობესებისთვის საკითხის დასმას, უფრო კონკრეტულად პასუხს კითხვაზე ,,რას შეცვლიდით ქვეყანაში ელექტრონული მმართველობის თვალსაზრისით“?

პასუხები მეტად საინტერესო და ყურადსაღები აღმოჩნდა. თვითეული გამოკითხული ღიად, სუბიექტურად წერდა როგორც მიღწევებს, ასევე პრობლემებს ელექტრონული მართვის განხორციელების პროცესში. მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ამ პასუხების პირდაპირ, უცვლელად წარმოდგენა, რაც კიდევ უფრო დეტალურ ინფორმაციას მოგვცემს პრობლემის წარმოსაჩენად.

- საჭიროა უპირველესად იაფი ინტერნეტი;
- ინტერნეტი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს;
- სოფლებსაც მიაწოდეთ სერვისები!;
- ცოტა უფრო დახვეწილი რომ იყოს უკეთესია;
- არც ისე კარგია. ვებ გვერდებს აკლია დახვეწა;
- ჯერ ინტერნეტი ყველა სოფელს!!!;
- კომპიუტერი ყველა სოფელში;
- გავხდიდი უფრო მოქნილს, მათთვის ვისაც მხედველობის პრობლემა აქვს!
- უფრო მოქნილი და პრაქტიკული რომ გახდეს უკეთესია;

- ინტერნეტი ყველა სოფელსა და ქალაქში;
- კავშირს გავაფართოვებდი.უფრო ვრცელ და მისაწვდომს გავხდიდი თითოეული მოქალაქისთვის იმიტომ რომ დღესდღეობით ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ...
- ყველა ოჯახს განსაკუთრებით სოფლად არ აქვთ ინტერნეტი და ბევრმა არც იცის აღნიშნული ამიტომ კარგი იქნებოდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ამ კუთხით
- ტექნოლოგიური მომსახურების სფეროს გაფართოება და ხელმისაწვდომობა სჭირდება;
- ინტერნეტთან ყველა ადამიანის წვდომა, ხარისხის გაუმჯობესება;
- შევეცდებოდი მის სრულყოფას და გავრცელებას. მე მაგისტრანტი კობა კახაძე ვფიქრობ რომ ეს XX საუკუნის ერთერთი მთავარი გამოწვევაა. მადლობა
- ხშირადაა ხარვეზები და ზოგიერთი მონაცემთა ბაზის მიუწვდომლობა. ვისურვებდი ყველა ინფორმაცია რაც აუცილებელია საზოგადოებისთვის მარტივად ხელმისაწვდომი იყოს;
- გავხდიდი საჯარო სამსახურის ვებ გვერდებს უფრო მისაწვდომს სხვადასხვა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისათვის
- ვფიქრობ, აუცილებელია რაღაც დონეზე შეიცვალოს ყველაფერი, რადგან ახალ თაობას თუ კითხავთ ამ ეტაპისათვის მათ იშვიათად მიუწვდებათ ხელი ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე, აღარაფერს ვამბობ 40 წელს ზემოთ მყოფებზე. ...
- მეტი ინფორმაციის ატვირთვა საძიებო სისტემაში;
- სოციალურ ქსელებში ფეიკ ინფორმაციების გასაჯაროებას შევუშლიდი ხელს დავბლოკავდი ფეიკ გვერდებსა და ბლოგებს და საზოგადოებას მაქსიმალურად სწორ და ხარისხიან ინფორმაციას მივაწვდიდი მათთვის საჭირო საკითხებზე
- გავაუმჯობესებდი ვებ გვერდების გამართულობას და ვიზრუნებდი ინტერნეტის კარგ ხარისხზე

დასკვნა

მაშასადამე, საქართველოს, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს, განვითარებისა და გაძლიერებისათვის ესაჭიროება ელექტრონული მმართველობის სრულყოფა. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ელექტრონული მმართველობა ეს არ არის სხვადასხვა პროცესის მართვა განსხვავებულად, არამედ ეს არის სხვადასხვა პროცესის მართვა ერთი სახით - ელექტრონულად. ის გამოიხატება ყველგან და ყველაფერში, ჩანს ამა თუ იმ საქმიანობაში, განათლებაში, ტურიზმში და ა.შ.

ელექტრონული მმართველობა არ გულისხმობს მხოლოდ კონკრეტული მმართველობის ფორმას, ის მოიცავს მოქალაქეების ჩართვას თვით სახელმწიფოს მართვაში, ისე რომ შეეძლოს მოქალაქის მანძილის, დროისა და ენერგიის დაზოგვა. როგორც უკვე აღვნიშნეთ მანძილის, დროისა და ენერგიის დაზოგვა პირდაპირ პროპორციულია მოქალაქის კომფორტისა. საქართველოს მოქალაქეს

ნებისმიერ დროსა და ადგილას ზედმეტი დანახარჯების გარეშე უნდა შეეძლოს ინტერნეტრესურსების გამოყენება. ეს არის მისთვის კომფორტული გარემოს შექმნა, მაგრამ როდესაც ვახსენეთ ჩვენ, რომ ელექტრონულ მმართველობას სჭირდება სრულყოფა, სწორედ ეს ვიგულისხმეთ. საქართველოში ჯერ კიდევ არის ისეთი ადგილები, სადაც მოსახლეობისთვის ვერ მოხერხდა შესაბამისი გარემოს შექმნა, ვერ მოხერხდა ინტერნეტის მიწოდება, რომ მოქალაქემ სრულყოფილად შეძლოს ჩართვა და ინტერნეტ სერვისების მოხმარება.

სახელმწიფოში ელექტრონული მმართველობა მაშინ არის სრულყოფილი, როცა ტერიტორია სრულად აქვს ათვისებული, მოქალაქეების ჩართულობის გათვალისწინებით, მაგრამ ამ შედეგის მიღწევამდე კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

აქვე უნდა აღინიშნოს , რომ, რომც მოხდეს ინტერნეტის მიწოდება, უნდა იყოს ის ხელმისაწვდომი. შესაბამისად სახელმწიფო ამ კუთხითაც მუშაობს. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის აუცილებლობა ბოლო პერიოდში შექმნილმა ვითარებამაც ნათლად დაგვანახა. მაშინ, როცა მოქალაქეებს პანდემიის გავრცელების ჟამს სახლიდან გაუსვლელად გვიხდებოდა სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულება, ეს უკანასკნელი კი ინტერნეტის გარეშე შეუძლებელი იყო. სწორედ ამ გამოწვევებმა, კიდევ უფრო უცილობელი გახადა ის მიზნები, რისთვისაც დაიწყო ელექტრონული მმართველობის დანერგვა.

თავის მხრივ ელექტრონულმა მმართველობამ საჯარო სამსახურის უწყებებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაცია კიდევ უფრო გაზარდა, რაც განაპირობა ინფორმაციის სწრაფმა და ხარისხიანმა მიწოდებამ, ელექტრონული მმართველობის დამსახურებაა, რომ მოსახლეობისთვის საჯარო ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა.

ამრიგად, ნაშრომის შესავალ ნაწილში ჩვენს მიერ დაისახა მიზანი, რომელსაც უპასუხა სამაგისტრო ნაშრომმა. მიზანი გახლდათ შესწავლილ და წარმოდგენილ ყოფილიყო ელექტრონული მართვის დანერგვისა და გამოყენების შესაძლობლებები, ასევე სხვადასხვა სამთავრობო უწყების მაგალითზე განხილულ

და პრაქტიკული მაგალითებით ელექტრონული მმართველობის განხორციელების პროცესის პრეზენტაცია, კერძოდ მიღწევები და გამოწვევები.

ჩვენს მიერ რამოდენიმე საჯარო უწყების მაგალითზე წარმოდგენილი იქნა თუ როგორ ხორციელდება ელექტრონული სერვისების მიწოდება მოქალაქეებზე და იქვე გამოიკვეთა ის რობლემები რაც არსებობს თანამედროვე ელექტრონული მართვის განხორციელებისას საქართველოში.

სამაგისტრო ნაშრომის მიზნის მიღწევაში ასევე დაგვეხმარა კვლევა, რომელის ასევე ელექტრონული ფორმით განხორციელდა, რამაც თვალნათლივ დაგვანახა თუ როგორ შეიძლება გავიგოთ ადამიანების აზრი დისტანციურად, კონფედენციალურად, რამაც ობიექტური, ღია და სუბიექტური პასუხების შესაძლებლობა მოგვცა.

კვლევამ ცხადყო, განსაკუტრებით მეათე კითხვამ, რომ პრობლემები ბევრია, ეს პრობლემები ახალი გამოწვევებია ქართული სახელმწიფოსათვის, რომელსაც ქვეყანამ აუცილებლად უნდა უპასუხოს.

ელექტრონულმა კომუნიკაციებმა მსოფლიოში არსებული პანდემიის პირობებშიც ღიად დაგვანახა მისი აუცილებლობის შესახებ. სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის თვეების განმავლობაში ურთიერთობები აღნიშნული საკომუნიკაციო საშუალებებით ხორციელდებოდა და ხორციელდება დრესაც.

საერთო ჯამში სამაგისტრო თემის აქტუალობა ნათელია, ელექტრონული მმართველობა და ელექტრონული მთავრობა თანამედროვე და აქტუალური თემატიკაა. როგორც ავღნიშნეთ ის უახლესი მოვლენაა არა მხოლოდ ქართულ რეალობაში, არამედ მსოფლიო პრაქტიკაში.

საბოლოო ჯამში, ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული იქნა რამოდენიმე რეკომენდაცია, რომელიც ვფიქრობთ დაეხმარება საქართველოში ელექრტონული მმართველობის სრულყოფას:

- უპირველესად აუცილებელია მთელი ქვეყნის მაშტაბით მოხდეს ინტერნეტ წვდომის პრობლემის მოგვარება, მაქსიმალური მცდელობით შესაძლებელია უდიდესი წილის დაფარვა, რაც დღეს მინიმუმზეა დასული;
- აუცილებელია სახელმწიფოსა და ინტერნეტპროვაიდერებს შორის გაფორმდეს მემორანდუმი და ინტერნეტ სერვისების მიწოდება, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში, მისაღებ ფასებში უნდა განხორციელდეს, გაიაფდეს, რათა შეძლოს მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა მაინც ისარგებლოს ინტერნეტ პორტალებით;
- საქართველოში დახვეწილია რამოდენიმე სტრუქტურის ელექტრონული სერვისები, მაგალითად საჯარო რეესტრის, შემოსავლების სამსახურის, ჯანდაცვის სამინისტროს, სადაც მხედველობადაქვეითებულ და სმენადაქვეითებული ადამიანებისათვისაც კი გარკვეულწილად მორგებული ელექტრონული გვერდებია შექმნილი, მაგრამ რასაკვირველია ეს საკმარისი არაა და კიდევ უფრო მეტ მშაობას საჭოროებს;
- შედარებით სუსტადაა განვითარებული ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული სერვისებით სარგებლობა, რაც კომპლექსური პრობლემა უფროა. კერძოდ, მოქალაქეებმა უმეტესწილად არ იციან აღნიშნული სერვისების შესახებ, ასევე მათთვის არაა ხელმისაწვდომი ელექტრონული სერვისები ინტერნეტის არ ქონის გამო და ასევე თვითმმართველი ერთეულის მიერ ჯეროვნად ვერ ხორციელდება ელექტრონული პორტალებით აქტიური სარგებლობა. აქაც საჭშიროა კიდევ უფრო ბევრი მუშაობა;
- და ბოლოს, ჩვენი აზრით მთავარი პრობლემა არის საზოგადოების არაინფორმირებულობა. საზოფგადოების გარკვეულმა ნაწილმა, როგორც სოფლად, ასევე ქალაქად, არ იცის აღნიშნული სერვისების შესახებ, ან იცის მაგრამ რატომღაც ურჩევნია თვითონ მოვიდეს, პირადად უწყებაში და დატოვოს მაგალითად განცხადება. მისი შეხედულებით ასე უფრო განიხილავენ მის მიერ შემოტანილ წერილს, ვიდრე ელექტრონულად მოსულს. ყოველივე ეს მეტყველებს მოქალაქეების ცონობიერების სისუსტეზე და რასაკვირველია ჩნდება კითხვა ვინ ან სად უნდა ისწავლოს ყოველივე ამის შესახებ.ჩვენი აზრით, ჯერ სკოლებში

უნდა ისწავლებოდეს, რა არის სახელმწიფო მთელი თავისი შედგენილობით, რა არის თანამედროვე მართვა და შესაბამისად ელექტრონული მმართველობის შესახებაც უნდა მივაწოდოთ მოსწავლეებს საბაზისო ინფორმაცია და მეორე მაგალითად სოციალური მუშაკების როლზე ბევრია დამოკიდებული. სოციალურ მუშაკს აქვს შესაძლობლება ჰქონდე აქტიური კომუნიკაცია მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ დასახლებებთან და აქვს ასევე უფლებამოსილება გააცნოს მათ ყოველივე ამის შესახებ, დაეხმაროს მათ ელექტრონული სერვისებით სარგებლობაში.

ამრიგად, თანამედროვე ელექტრონული საჯარო მმართველობის განხორციელება აუცილებელი წინაპირობაა საჯარო მართვის სწორად და ეფექტურად განხორციელებაში. საქართველოს აქვს ბევრი მიღწევები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ასევე დრესაც დგას ბევრი გამოწვევების წინაშე.

დიაგრამები:

დიაგრამა N1 რესპოდენტთა ასაკი - გვ. 32
დიაგრამა N2 - გეოგრაფიული სეგმენტაცია გვ.33
დიაგრამა N3 - დასაქმება - გვ.34
დიაგრამა N4 – ინტერნეტ რესურსების გამოყენების სიხშირე - გვ.35
დიაგრამა N5 - სარგებლობთ თუ არა საჯარო სამსახურების ვებ.გვერდით
დიაგრამა N6 - რომელი საჯარო სამსახურის ვებ.გვერდით გისარგებლიათ ერთხელ მაინც - გვ.36
დიაგრამა N7 - ელექტრონული რესურსებით სარგებლობა ადგილობრივ თვითმმართველობებში - გვ. 37
დიაგრამა N8 - გისარგებლიათ თუ არა რომელიმე საჯარო სტრუქტურის ელექტრონული მომსახურებით - გვ. 38
დიაგრამა N9 - კმაყოფილება - გვ. 39

ბიბლიოგრაფია:

1. არჩუაძე ჯ. „სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის პრობლემები და გამოწვევები“ გორი 2018 წ.
2. აბულაძე, რატი. 2012. ელექტრონული მართვის აქტუალური საკითხები. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, No4, ივლისი-აგვისტო.
3. აბულაძე, რატი. 2013. ელექტრონული მთავრობა (ხელისუფლება, ბიზნესი,საზოგა-დოება, ტექნოლოგია) (სახელმძღვანელო),თბილისი.უნივერსალი.
4. აბულაძე, რატი. 2013. ელექტრონული მთავრობის ეკოსისტემა, როგორც ეკონომიკური განვითარების ხელშემწყობი. ჟურნალი „საქართველოს ეკონომიკა“.No 3, (180
5. ბუროუსი, გ., ზ. აბაშიძე, ქ. მუხიგული,ს. დუნდუა, თ. ქარაია. 2017. ,,დემოკრატია
6. მანველიძე ი., იაშვილი გ. სტატია „აჭარის საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიის შეფასება ელექტრონული მმართველობის განვითარების კონტექტსტში“ ჟურნალი სოციალურ მეცნიერებათა საკითხები VII შრომების კრებული; გვ.106; ISSN 1987-7684 გამომცემლობა „უნივერსალი“ თბილისი 2015 წ.
7. როსტიაშვილი ქ. „**ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები**“ ინფორმაციის თავისუფლების განვიტარების ინსტიტუტი; 21.05.2010 წ.

ელ.მის: https://idfi.ge/ge/e-governance-in-georgia-world-tendencie

8. შამოევი, დავით. 2013. ელექტრონული მმართველობის განვითარების ზოგადი ტენდენციები საქართველოში. სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“ N 3(27)